№ 54
პარასკევი, 12 მარტი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 54
პარასკევი, 12 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

გასტროლები ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა

მხოლოდ სამი წარმოდგენა

კვირას, 14 მარტს,

ქართული დასისაგან **ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა** და **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. თარგ. ან. მეძმარეიშვილისა.

II

პირველად ახალი ვოდევილი

ძალათ ავაზაკნი

ვოდევილი 1 მოქ. გადმ. მართა ქლენტის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. **ჩერქეზიშვილი**, კარგარეთელი, გამყრელიძე, გარელი, წერეთელი, ვაშაკიძე; ბბ. **ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე**, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, თუთბერიძე, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი. გამგე ვ. აბაშიძე.

იმპერატრიცას მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაში, რომელიც მოთავსებულია ალექსანდრეს ქუჩაზედ № 3 სახლში, კვირა-უქმე დღეობით; ნაშუადღევის 1—5 საათზედ, გამართული იქმნება ბაზარი უსინათლოთა მიერ მომზადებულ ნივთებისა, როგორც, მაგალითად: კალათებისა, ხალიჩებისა, შროტკებისა და სხვათა. (3—უ.—2)

საჭიროა კასირი

ადრესი: „**შუამავალი**“ კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. (—6.—4)

ნოტარიუსის

ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამ, შოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—ნ.—21)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაავალა ქალაქის მოურავს იზრუნოს, რათა დაჩქარებულ იქმნას გადათვალიერება, შესწორება და შეცვლა 1892 წლის 11 ივნისის საქალაქო დებულების შემოღებამდე გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი და, ქალაქის საბჭოს განხილვის შემდეგ, ეს დადგენილებანი წარუდგინოს მთავრობას წესისამებრ.

⁂ ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის გამგემ დაავალა კოჯორის „სტაროსტას“ წარუდგინოს დაუყოვნებლივ კოჯორის ამა 1899 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. ამასთან მოსთხოვა აცნობოს, რა მიზეზებით იქმნა დაგვიანებული ამ ხარჯთ-აღრიცხვის წარდგენა.

⁂ სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობამ აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, რომ გზათა მინისტრმა ნება დართო ტყვიბულის შტოს მე-43 ვერსზედ, ახალ-სოფლის მახლობლად, გამართულ იქმნას დროებით ბაქანიო.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასდო 3,703 მანეთი ბათუმისა, სამტრედიისა, ხაშურისა, გორისა, აჯამეთისა, განჯისა და სხვა სადგურებზედ სხვა-და-სხვა მოწყობილობის გასამართავად, სადაც შეიძლებოდეს ვაგონებიდგან საქონლის

ფელეტონი

ნიმუში „კვალისტების“ რიხიანობა-ამპარტავნობა-ფანატიკოსობისა.

> „Скрипка лишь въ рукахъ артиста звучитъ неизъяснимой мелодіею“...
>
> С. Ф. Годлевскій

დასასრული *)

წაგიკითხავთ ფ. მახარაძის „კრიტიკული წერილი“ (ვითომ?) „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“? და თუ არ წაგიკითხავთ, წაიკითხეთ, ვინაიდგან ის ერთი თვალსაჩინო ნიმუშთაგანია „მარქსისტების“ რიხიანობა-ყოყოჩობისა.

ბ-ნი მ. კელენჯერიძე თავის გამოკვლევაში ამტკიცებს და ასაბუთებს სახალხო პოეზიის საესტეტიკო, საპედაგოგიო და სამეცნიერო მნიშვნელობას. მოჰყავს სხვა-და-სხვა მეცნიერ-სწავლულის აზრი ამ საგნის შესახებ. ყველანი იმას დაასკვნიან, რომ აუცილებელს საჭიროებას შეაგენს ხალხისათვის მისის ძველის ეროვნულ ლექსებ-ზღაპრებ-ანდაზების შესწავლა, იმ ლექსებისას, რომლებსაც ხალხი ჰმღეროდა, რომელთა წყალობით, მაშასადამე, შეგვიძლიან შევისწავლოთ ხალხის აზრი, მისი ენა, გრძნობანი. ვინც შეისწავლა ხალხური პოეზია, ის გულ-მხიარულად იხსენიებს ძველს დროს, ითვალისწინებს ხალხის აზროვნობას, უგდებს ყურს იმისს გულის-ცემას, ან გაიცინებს, გაიხარებს, ან დაფიქრდება და ისწავლის რასმე. „ნამდვილი ცოდნა რომ გვქონდეს რომელისამე ხალხისა, ამისათვის, ამბობს ერდერი, საჭიროა მისის პოეზია-სიმღერების ცოდნა... ხალხური პოეზია ხალხის არხივია, საუნჯეა მისის მეცნიერებისა და სარწმუნოებისა, თეოგონიისა და კოსმოგონიისა, მისის მამა პაპათა მოქმედებისა და ისტორიულ გარემოებათა, მისი სახეა, მისი გულია, სურათია მისის შინაურ მხიარულებისა, მწუხარებისა... გმირული ხალხი თავისის სიმღერით გმირობას აქებ-ადიდებს; ნაზი, გულ-ჩვილი ხალხი შეამკობს სიყვარულს; გონებით გამჭრიახი ხალხი ადგენს ამიცანებს, ხალხი მდიდარი ფანტაზიით—ალლეგორიებს, შედარებათ, ცოცხალ სურათებს. ვნებათა ღელვით სავსე ხალხი ჰხატავს მხოლოდ გულის თქმას ისე, როგორც ის ხალხი, რომლის ცხოვრება მიმდინარეობს საშიშარ გარემოებათა შორის,—იგონებს მხოლოდ საშიშარ ღმერთებს. პატარა კრებული ამ ლექსებისა სამშობლო ენაზედ, ამასთანავე სწორედ შეგნებული, განმარტებული და მუსიკასთან შეერთებული, როგორ გააცხოველებდა ხალხის ისტორიასა და იმის ზნე-ჩვეულებათა ცოდნას...როგორც საბუნებისმეტყველო ისტორია აღწერს მცენარეებსა და ცხოველებს, ისე თავისს სიმღერა-ლექსებში აღწერს ხალხი თავისს თავს“...

„სახალხო პოეზიას,—ამბობს მონტენი—თავიდგან ბოლომდის ბუნებაა თვისის მარტოობითა და მშვენიერებით უდრის უმთავრესს მშვენიერებას საუკეთესო ხელოვნურის პოეზიისას“... „სიმღერას უყვარს უბრალო ხალხი, იგი ეძიებს მსმენელის ყურს და ხმას და გულთა ხოროს... იგი სცხოვრობდა ხალხის სმენაში, ცოცხალ მგოსანთა ენასა დ არფაზედ: იგი მღეროდა ისტორიას, შემთხვევათ, საიდუმლოებას, სასწაულობას და მოსწავებას, იგი იყო ხალხის თვისებისა, ენისა და ქვეყნის ნიმუში მისთა საქმეთა და რწმენათა, მისთა ვნებათა და მისწრაფებათა, მისის მუსიკისა და სულისა“...

„დიდებულო იმპერიავ! იმპერიავ, შემდგარო ათის ხალხისაგან, გერმანიავ!—მიჰმართავს ჰერდერი თავისს, სამშობლოს,—შენ არა გყავს შექსპირი, მაგრამ ნუთუ შენ არა გაქვს არავითარი ლექს-სიმღერა შენთა მამა-პაპათა, რომლითაც შეგეძლოს თავის მოწონება? შვეიცარიელებო, შვაბებო, ფრანკონელებო, ბავარელებო, ვესტფალელებო, საქსონელებო, ვენდე-პრუსიელებო! ნუთუ არა მოგეძევებათ რა? ხმა წინაპართა თქვენთა დადუმდა და აღარა დარჩარა მათ შემდეგ მათ საქმეთა შესახეო? დიდსულოვანო, კეთილშობილურის სათნოებითა და ენით შემკულო ხალხო, ნუ თუ არ დაგრჩენია ძველთა დროთაგან არავითარი სახე შენის სულისა! არა, ეგ შეუძლებელია, მის აღსადგენად ბევრი ნაშთია დარჩენილი, მაგრამ იგი ჰყრია ტალახში, მას ვერ იცნობენ, იგი ეზიზღება ყველას“...

აი ძლიერი ხმა, რომელიც ცეცხლისავით მოედო გერმანიას და სხვა რიგად დაატრიალა ჩარხი ხალხურის პოეზიის და ეროვნულის წარსულის შესწავლისა და ამით წააქეზ-წაახალისა მრავალი მამულიშვილობა.

ბ-ნ მელ. კელენჯერიძემაც, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად, აღიმაღლა ხმა სწორედ ამ საგნისავე შესახებ და თანამემამულეთ მიჰმართა ყურადღება მიექციათ სახალხო პოეზიისათვის, რომელიც დროთა ვითარებისა გამო ირყვნება და იკარგება, და ეშრომათ მისის შეკრება-შენახვისათვის, რადგანაც იგი საერო განძია. სჩანს, ბ-ნ კელენჯერიძეს ბევრი ნაწარმოები წაუკითხავს საზოგადოდ სახალხო პოეზიის შესახებ და შეგნებულადაც გამოუყენებია წაკითხული, ასე რომ მისი შრომა ყურადღების ღირსია. რასაკვირველია, როგორც მქადაგებელი ნიშანში ამოღებულის აზრისა, ის ხანდახან აჭარბებ-ადიდებს სახალხო პოეზიის მნიშვნელობას, „უებარ წამლადა“ სთვლის ხალხის გრძნობა-გონების ასამაღლებლად. მაგრამ დედა-აზრი მონოგრაფიისა და მისი დამტკიცება-დასაბუთება სამართლიან-ჭეშმარიტია. მხოლოდ ერთს ადგილას, სადაც აკაკის ლექსებია გარჩეული, ავტორი—არ ვიცი რა მიზეზით—უბრალოდ და თითქმის ბავშურად იკიცხება. მისი კრიტიკა აქ მართლა უსიამოვნებას გამოიწვევს მკითხველებისას, რადგანაც, როგორც რუსები ამბობენ, „только придирается къ словамъ“. ჩვენდა სასიხარულოდ, ასეთი ადგილი მონოგრაფიაში ძლიერ ცოტაა. საზოგადოდ ვიტყით, რომ ავტორი თავისის შრომისათვის თანაგრძნობისა და გამხნევების ღირსია.

მაგრამ დახეთ „მარქსისტს“, რა ნაირად მოეპყრო ავტორს და იმისს შრომას. მე არ ვიცი, რა დამოკიდებულება არსებობს ავტორსა და კრიტიკოსს შორის, ან იცნობენ ერთმანერთს თუ არა, მაგრამ, როდესაც წაიკითხავ ბ-ნ მახარაძის „კრიტიკულს წერილს“, უნებლიეთ გებადებათ ეჭვი კრიტიკოსის „მიუდგომლობა-კეთილ-სინდისიერების“ შესახებ. კრიტიკოსი უფრო ავტორის პიროვნობას ჩაჰბღაუჭებია და ჰსურს ყოველის საშუალებით გააშავ-გააჭუჭყიანოს. ჩემის აზრით (შეიძლება სხვებიც დამეთანხმნენ), რაც ამ „კრიტიკულს წერილში“ სიტყვების რახარუხ გუნდაობაა, იგი მხოლოდ დეკორაციაა, მხოლოდ შავი მანტიაა, რომელშიც იმალება მდაბალი სურვილი პირადობის შეხება-გალანძღვისა.

ბ-ნი მახარაძე პირდაპირ ამბობს, რომ მ. კელენჯერიძემ თავის „გონების ვარჯიშობის ნაყოფის“ წიგნად გამოცემით „სისულელე ჩაიდინაო“ (85 გვ.), რადგანაც ის მხოლოდ „ღრმა შეცდომათა და წინააღმდეგობათა ბუდეს წარმოადგენს“ (83 გვ.) დ ეს იმიტომ, რომ „ბ. კელენჯერიძეს არავითარი წარმოდგენა არა აქვს

---

*) იხ. „ივერია“ № 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორეკვა, წყლის დალევა და დროებით დამწყვდევა.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამ უკანასკნელ დროს ბევრმა მიჰმართა სახელმწიფო ქონებათა გამგეობას და სთხოვა ნება მოგვეცით შირაქის ველში, ჩატმაში, ნავთის კვლევა-ძიებას შეუდგეთო. რადგანაც ეს ადგილები სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ნავთიან ადგილებათა სცნო, ყველა მთხოვნელს უარი გამოუცხადა და დაადგინა ჩატმაში ადგილები მხოლოდ საჯარო ვაჭრობით მისცეს იმათ, ვისაც ჰსურს ნავთის წარმოებას შეუდგეს. მაგრამ მთათა დეპარტამენტმა არ შეიწყნარა ეს დადგენილება და დაავალა გამგეობას მისცეს ყველა მთხოვნელს მოწმობა კვლევა-ძიების ნებართვისა, როგორც ჩატმაში, აგრეთვე ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც.

⁂ ადგილობრივის გაზეთების სიტყვით, ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება, ხმოსნების ივანენკოსა და ტიგრანოვის საფინანსო კომისიის წევრებად ამორჩევის შესახებ, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ალმასრულებელმა, ქალაქის დებულების მე-83 მუხ. 1 პუნ. თანხმად, შეაჩერა და ჯერ-ჯერობით არ დაამტკიცა.

⁂ გინჯიდგან სწერენ „ტფილ. ფურც.“-ს, რომ მთავარ-მართებელის თანამდებობის ალმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ ნება დართო მოკლულის ბოქაულის ჩიქოვანის ოჯახს მიეცეს 300 მანეთი. ამას გარდა ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ განსვენებულის ოჯახი უზრუნველ ყოფილ იქმნას.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“-ს სწერენ, რომ დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლებში ამ ბოლოს დროს რამდენიმე კაცი გახდა ავად ყვავილითაო.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მ.“, რომ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ უკვე განიხილა პროექტი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ და წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად. როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, აზრადა აქვთ ეს სასწავლებელი გადააკეთონ ან სასოფლო-სამეურნეო სკოლად, ან კიდევ პროგიმნაზიად.

⁂ როგორც იგივე გაზეთი იუწყება, სოფ. ზემო-ხოდაშენში, თელავიდგან 25 ვერსის მანძილზედ, ბარ. გეიკინის მამულში ერთი ამხანაგობა შესდგომია ნავთის კვლევა ძიებას. ეს ადგილი შარშან გამოუკვლევია ინგლისელ პროფესორს ტაუზენდს.

⁂ ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას რწმუნებულთა საზოგადო კრების წინაშე იმის შესახებ, რომ საკრედიტო საზოგადოებისათვის საკუთარი შენობა იქმნას შეძენილი.

⁂ სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობამ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, მთელს ბორჯომის შტოზედ შესცვალოს აწინდელი რელსები და იმათ ნაცვლად უფრო მძიმე რელსები დააწყოს. ამასთან ნება დართო ეს რელსები მოახმაროს ბაკურიანის შტოს.

⁂ ხუთშაბათს, 11 მარტს, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რაც შეიძლება მალე იქმნას გამართული ქალაქის საყასბოსთან საქონლის დასაყენებელი ბაგები. ასეთი ბაგის უქონლობა დიდად აბრკოლებს ბეითალს მიერ საკლავ საქონლის გასინჯვის საქმეს. ასეთი შემთხვევაც კი მოხდა ამას წინად: ბეითალს გაუშინჯავს რიყეზედ საქონელი და ერთის ყასბისათვის მიუცია მოწმობა იმისა, რომ მას შეუძლიან დაჰკლას 5 ხბო. ამ ყასაბს საყასბოში დასაკლავად-კი ხბორების ნაცვლად 5 კამეჩი მიუყვანია. ყასაბი არწმუნებდა თურმე ყველას, რომ ბეითალმა შეცდომით ეს კამეჩები ხბორებად აღნიშნა მოწმობაშიო.

⁂ ხუთშაბათს, 11 მარტს, ქალაქის საყასბოს გამგე ბეითალმა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობა გადასცა იმის შესახებ, რომ შეკეთებულ იქმნას ის ღუმელები, სადაც ავადმყოფ საქონლის ხორცსა სწვავენ. შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ ღუმელები დასქდა და მალე ისე წახდება, რომ სრულიად გამოუსადეგარი იქმნებაო.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მთავრობის ნება დართვით განყოფილება გამართავს პრაქტიკულ კურსებს ხილის შენახვა-მოვლისას. სწავლა კვირაში ერთხელ იქმნება შაბათობით ნაშუადღევს $4^1/_2$-დგან $6^1/_2$ საათამდე ა. გ. კლაუსენის ხელმძღვანელობით კავკასიის სააბრეშუმო სადგურის სადგომში. ხოლო კვირაობით გამართული იქნება ადვილ გასაგები კითხვები ბაღოსნობის შესახებ განყოფილების სადგომში (გოლოვინის პროსპექტი № 45).

⁂ იმპერატრიცა მარიას სახელობის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 12 მარტს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ ტფილისის უსინათლოთა სკოლის სადგომში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სამზრუნველოს საბჭოს თავმჯდომარის სტატს-სეკრეტარის ეგორ აბრამის ძის პერეტცის სულის მოსახსენებლად.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, გაზ, „კავკ.“-ის სიტყვით, წარმოუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ფოთის ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას განაგრძოს იმ გადასახადის მოკრება, რომელიც დადებულია ფოთში რიონის ხიდზედ ეტლით ან ურმით გამვლელთათვის. ამასთან თვით-მმართველობა თხოულობს ნება მიეცეს გადასახადი მოკრიბოს რიონისავე შტოზედ ახალ ხიდზედ გამვლელთაგანაც.

⁂ საქმე სარქის ტერ-სტეფანოვისა, რომელსაც, როგორც მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, ისა ჰბრალდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებიდგან ამა წლის 3 იანვარს, დამე თავისის საქმის ქაღალდების მოპარვა განიზრახა, დანიშნულია განსახილველად ოლქის სასამართლოში 22 მარტისათვის.

⁂ 9 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მეწვრილმანის გეურქ სტეფანოვისა და ბაყალის ივანე თუმანოვისა, რომელთაც ყალბის გირვანქიანების ხმარება ჰბრალდებოდათ. სასამართლომ ორივე დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ჯარიმის გარდახდა ქალაქის სასარგებლოდ, პირველს 10 მანეთისა, ხოლო მეორეს—3 მანეთისა.

⁂ 10 მარტს, ორთაჭალის ბაღების მახლობლად, ნახეს ვიღაც დამრჩვალის, ესე 30 წლის კაცის გვამი. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

⁂ 10 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე აზნაურის მიხეილ ალერწიანისა, რომელსაც სახლის ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებოდა. ამ საქმის გარემოება ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან. როგორც ეხსომებათ, ის სახლი, რომელსაც ალერწიანმა ცეცხლი წაუკიდა, თავისი იყო და შემდეგ საჯარო ვაჭრობით გაეყიდა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ალერწიანი დამნაშავედ არის ცნობილი და მიესაჯა ციმბირის მახლობელ ადგილებში გადასახლება.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკვე გააწერა სატრაქტირო გარდასახადი ამა მდგომარე წლისათვის. სულ ეს გარდასახადი 4,536 მანეთს შეადგენს. ყველაზედ მეტი უნდა გარდაიხადოს „ორიანტის“ სასტუმროს პატრონმა ბ-ნმა ფრანსიურმა—1000 მანეთი, შემდეგ „ლონდონის“ პატრონმა რიხტერმა—840 მან., „კავკასის“ პატრონმა ბაქრაძემ—750 მანეთი.

⁂ 9 მარტს კნ. ა.—რომ გამოუცხადა პოლიციას, რომ ჩემი შვილი მიხეილი, 14 წლისა, სადღაც დაიკარგა და თუმცა ძებნას კარგა ხანია შეუდექით, მაგრამ ჯერ ვერსად გვიპოვნიაო.

⁂ გუშინ, 11 მარტს, ხმოსანმა ნ. ნ. ოსტროგორსკიმ შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება, რომელშიაც თხოულობს, რადგანაც თავისუფალი დრო არა მაქვს, ბაღების მომშენებელ კომისიის წევრობიდგან გამანთავისუფლეთო.

⁂ გუშინ, თერთმეტ მარტს, ერთმა ხმოსანმა შეიტანა გამგეობაში საბჭოში წარსადგენად წინადადება რომ მოკლულის პოლიციელის ტარასოვის ოჯახს დაენიშნოს პენსია წელიწადში 120 მანეთი.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მაშნაარი, (სიღნაღის მაზრა). 3 მარტს ჩვენში მამასახლისისა და სოფლის სხვა მოხელეების ამორჩევა მოხდა. სიღნაღიდგან დილითვე ჩამოვიდა მაზრის ნაჩალნიკის ბოქაული თავ. ნ. ერისთავი, რომელმაც ამომრჩევლებს ფიცი მიაღებინა და მოხელეებად დასახელებულებისათვის ხმა ისე მიაცემინა.

მეცნიერებაზე და თავისუფალ, დამოუკიდებელ აზროვნობაზე“ (83 გვ.). მისი აზრით „სახალხო პოეზიაში“ რაღაც უხერხულობაა და მეტად საეჭვო ერუდიცია (82 გვ.) ის თურმე „სრულად მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს“ და ეს კრიტიკოსმა ვითომც „დაწვრილებით გამოარკვია.. დაამტკიცა“ და საფუძვლიანმა კვლევა-ძიებამ ის „დაარწმუნა, თუ რა ყალბ საფუძველზე და უცოდინარობაზეა დამყარებული ამ საგანზე ჩვენი ავტორის შეხედულობა“ (81 გვ.). თვით ავტორი, კრიტიკოსის მოწმობით, „უკიდურესი თავმომწონეობით და უზომო სიძულილით ყოველივე ახლისადმი (?)“ ყოფილა შეპყრობილი (იქვე) მას თურმე „სრულებით ავიწყდება თავის წიგნი და მხოლოდ თავის თავი ახსოვს“ (84 გვ.). თურმე ავტორში „უვიცობას და უკიდურეს თავმოყვარეობას ერთად მოუყრია თავი“ (10 გვ.).., ერთი სიტყვით, ვინ ჩამოსთვლის, ან ვინ ამოსწერს ყველა იმ ადგილს, სადაც კრიტიკოსი ცუდის სიტყვევით მიზეზ დაუსახელებლად ლანძღავს ავტორს და უშვერად ეხება იმისს პირადობას. ასე წარმოიდგინეთ, კრიტიკოსი იმის გამოც დასცინის ავტორს, რომ ის „მეორე კურსელია“, „აკადემიკოსია“, „აკადემიური სწავლა აქვს მიღებული“ (86 გვ.). „არა ნაკლებ სასაცილოა ის გარემოებაც, ამბობს კრიტიკოსი, როცა თითოეული აკადემიელი უცდომელ პაპის ხედავს თავის თავში და თუ „დისერტაციაც“ დაუწერია, მაშინ მწერალიც ჰგონია თავის თავი. ამ გვარ ავთმყოფობით შეპყრობილთათვის ბ. კელენჯერიძის „სახალხო პოეზია“ საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს“ (87 გვ.).

ჩვენის აზრით, კელენჯერიძის „სახალხო პოეზია“-კი არა, ფ. მახარაძის „კრიტიკული წერილი“ წარმოადგენს საგულისხმიერო მოვლენას, იგი ნიმუშია „მარქსისტების“ იმ რიხიანობა-ყოყოჩობა-ფანატიკოსობისა, რომლის შესახებ ივერიის ამ წლის მე-17 №-ში ვწერდი. ამას დაუმატეთ ახალი თვისება: უწმაწური ლანძღვაგინება, სხვისის აზრების გადამახინჯება, ცილისწამება და სხვის სულსა და გულში უწმინდურის ხელის ფათური.

აი უწმაწურ გონების მაგალითი: შეეკამათა თუ არა ერთს ადგილას ავტორს, კრიტიკოსი აი რა სიტყვებით აბოლოვებს თავისს არც ისე ჭეშმარიტ მსჯელობას: „მაგრამ რა სიბრიყვემდის არ მივა ზოგჯერ ადამიანი, მეტადრე ჩვენში“. (ე. ი. იგულისხმე, სხვათა შორის, კელენჯერიძეც) (74 გვ.). ლიტერატურული ადათ-ეთიკაც ასეთი უნდა! ცოტახნის შემდეგ კრიტიკოსი თავის „კრიტიკულ წერილებში“ დედასაც შეაგინებს ვისმე. ასეთს ლანძღვა-გინებას თურმე „ჭეშმარიტების კვლევა-ძიება თხოულობს“, (86)! ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია შევიბრალოთ ასეთი შერყეულ-არეულ-თავხედ მსჯელობის ჭეშმარიტების სახელით მონათლავი კრიტიკოსი.

მეორე ახალი თვისება ჩვენის „მარქსისტ-კრიტიკოსისა“ სხვის აზრის გადამახინჯებაა. დავამტკიცოთ მაგალითებით. ბ-ნ მახარაძეს აზრით, კელენჯერიძე მწერლების იმ რაზმს ეკუთვნის, რომელთაც ჰსურთ „ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაატრიალონ“ (45 გვ.) და მით „ძველი ცხოვრება, ძველი წყობილება აღადგინონ“. მას (კელენჯერიძეს) სურს და მიზანში აქვს ამოღებული „ყოველივე ახალის გაქელვა“ (53 გვ.)... ერთის სიტყვით ბ-ნ კელენჯერიძეს „თავისუფალი აზროვნება“ აკლია, ის უკიდურესი კონსერვატორია... მერე რისთვის გადანათლა ასეთ უკან ჩამორჩენილ კონსერვატორად ბ-ნმა კრიტიკოსმა კელენჯერიძე? იმისთვის, რომ იგი ბ-ნ მახარაძის და მისის ამქრის აზრებს არა ჰქადაგებს თვისს მონოგრაფიაში იმისთვის, რომ ის გაკადნიერდა და ცუდად მოიხსენია „ფაბრიკული, ყავახანური ცივილიზაცია“; იმისთვის, რომ თანამემამულეთ ურჩევს ეროვნულ განძის შეკრება-შემუშავებას; იმისთვის, რომ სთქვა: პირველ ხანებში ხალხისათვის სახალხო პოეზია და მისი ნიმუშები უსაჭიროესიაო.

მართლა უარს ჰყოფს მ. კელენჯერიძე ახალს ცხოვრებას? მართლა მოუწადინებია „ყოველივე ახალის გათელვა“? არა, ეს მხოლოდ ცილის წამებაა. შეიძლება, აქებს რა სახალხო პოეზიას, მელიტ. კელენჯერიძე თანამედროვე ხელოვნურ ნაწარმოებთ უარს ჰყოფდეს? მაგრამ რას ნიშნავს შემდეგი მისი სიტყვები? „საქმე იმაშია, რომ ჩვენ სხვებზე ნაკლებ არა ვართ დარწმუნებულნი, რომ კარგი ხელოვნური ნაწარმოები ნიჭიერის პოეტისა ყოვლად სანატრელი და ძვირფასი რამ არის. მაგრამ ბელეტრისტიკამ რომ სახალხო სიტყვიერებას მნიშვნელობა წაართვას, ან თვითონ სახალხო სიტყვიერება არ ექირვებოდეს,—ამას კი ვერავინ დაგვიმტკიცებს“ („სახალხო პოეზია“, “ გვერდი 15). ეს არის ახალის გათელვა და ძველის გაღმერთება? რატომ არ დაუმტკიცა კრიტიკოსმა ავტორს ამ აზრის „უკან ჩამორჩენა“, „კონსერვატორობის“ ნიმუშობა?.. დამტკიცების მაგიერად ის მხოლოდ იგინება. კარგი „ლიბერალურ-თანამედროვე“ იარაღია თქვენმა მზემ!

ანდა შეიძლება ბ-ნი კელენჯერიძე უარს-ჰყოფდეს თანამედროვე მეცნიერებას. სოციალოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას?. მაგრამ რას ამტკიცებს ეს მისი სიტყვები?: აღნიშნავს-რა ბ-ნ სალარაძის სიტყვებს „..თუ გვწამს ჩვენი მომავალი, ისიც უნდა გვწამდეს ამ შემთხვევაში, რომ ჩვენი აზროვნება თანდათან გაფართოვდება და აღორძინდება, რიცხვი მწერალთა და მეცნიერთა თან-და-თან გამრავლდება და სხვ.“, აი რას დასძენს თავისის მხრივ კელენჯერიძე:

„ის აზრი, რომელიც ამ ზემორე ამოწერილ სიტყვებშია გამოხატული ავტორის მიერ (ნუ დაგავიწყდებათ, რომ კელენჯერიძე სალარაძის საზოგადოდ პრინციპიალური მოწინააღმდეგეა), მართალი აზრია, ღრმა და საყურადღებო ყოველის ქართველის კაცისათვის. იგი არის დამაფიქრებელი, იმედის აღმძვრელი, ძარღვში სისხლის აღმათამაშებელი. ავტორს სწამს ბრწყინვალე მომავალი თვისის ერისა, სწამს აგრეთვე აღორძინება მისის გონებრივის ვითარებისა, აღყვავება მეცნიერებისა... მართლაც რომ საგულისხმოა ეს აზრი! თუ ცოტათი მაინც გვიცემს კიდევ მაჯა: თუ ცოტათი მაინც შეგვრჩენია ხასიათის სიმტკიცე, კაცობა, დიდ-სულოვნება,—დიაღაც არა გვაქვს ნება მივცეთ უიმედობას ჩვენ, მხედველნი ჩვენის მეცნიერების ასეთის არასანატრელის მდგომარეობისა... ჩვენ, პირიქით, ვალდებულნი ვართ გავმხნევდეთ, აღვიჭურნეთ იმედით, სულ-გრძელობით და მხნედ შეუდგეთ შრომას და მოღვაწეობას; ჩვენ უნდა დავხვდეთ წინ ბედის უკუღმა ტრიალს და დავამტკიცოთ,... რომ კიდევ შეგვიძლია გონებრივი მუშაობა და რომ ჩვენ არა ვართ მეცნიერების მეტი ბარგი“...(158 გვ.)

დავუკვირდეთ კიდევ ავტორის შემდეგ სიტყვებს:

„ჩვენი პასუხი ეს არის, რომ ჩვენ არა ნაკლებ ავტორისა (სალარაძისა) ვცემთ თაყვანს სოციალოგიას და ეკონომიას; მაგრამ როდესაც იმ სულის კვეთებაზე ვლაპარაკობთ, რომელიც ემჩნევა დღეს ჩვენს საზოგადოებას, ან იმ არა-სანატრელ მდგომარეობაზე გვაქვს ლაპარაკი, რომელშიაც არის დღეს „ჩვენი“ მეცნიერება, მაშინ, ჩვენის აზრით, ცოტა რამ სხვა წამალს მივმართოთ, რომ გავხდეთ რასმე. მართლაც, ნუთუ ჩვენთა ახალთა ძალთა უქმად ყოფნის მიზეზი დღეს ის არის, რომ სოციალოგიური და ეკონომიური თხზულებანი არ არიან ქართულად ნათარგმნი და დაბეჭდილნი? ჩვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმის ჩამოტარებამდე აქაურმა მღვდელმა მ. გ. დ—მა აუხსნა ხალხს ფიცის მნიშვნელობა და დარიგება მისცა, რომ მამასახლისად პატიოსანი და კეთილსინიდისიანი კაცი ამოირჩიონ, ისეთი, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის იშრომებს და სოფელს ნამდვილ მამობას გაუწევს. ამისდა მიუხედავად, ხალხმა ხმის უმეტესობით აირჩია მამასახლისად მალაქო ჩახნაშვილი, რომელიც ამას წინად ერთ ხანს სოფლის მოსამართლედ იყო. სოფლის მოსამართლის თანამდებობის აღსრულებაში მას ბევრი უსამართლობა და ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია, რაიცა არა ყოფილა დამალული არც ადგილობრივის ბოქაულისა და არც სამაზრო ადმინისტრაციის წინაშე. ასეთის კაცის ამორჩევა მამასახლისად, რა თქმა უნდა, არც სოფლისთვის იქნებოდა სასარგებლო და არც ადგილობრივის ადმინისტრაციისთვის სასიამოვნო. მაშნაარი რაღაცა განგებამ გამოიხსნა ასეთის მეთაურისაგან: ამორჩევის უმალვე, როდესაც ბოქაულმა თ. ერისთავმა ძველს მამასახლისს ნიშანი აჰყარა და ახლად ამორჩეულს გადასცა, ერთმა ვიღაც სოფლის გულშემატკივარმა არზა მიართვა ბოქაულს თავ. ერისთავს, რომელშიაც დაწვრილებით იყო აწერილი ახლად მამასახლისად დაყენებულის მ. ჩ—ს ყველა ბოროტ-მოქმედება, რაც-კი მას სოფლის მსაჯულობის თანამდებობის ასრულების დროს ჩაედინა.

თავადი ერისთავი ადრე წავიდა სიღნაღს, მაგრამ, რა-კი სამაზრო ადმინისტრაცია დარწმუნებული იყო, რომ ახალს მამასახლისზედ საჩივარი უსაბუთო არ იყო, ამისთვის მარტის 3-შივე სიღნაღიდგან საღამოს ჩაფარმა ბრძანება მოიტანა, რომლის ძალითაც ახალს მამასახლისს ნიშანი ისევ აეყარა და მის თანაშემწეს გარდაეცა.

სოფელში ხმა დადის, რომ ამომრჩეველნი იმისთვის შესცდნენ, რომ ამორჩევის წინ ნამსაჯულარმა სამამასახლისო სოფლის გავლენიანს კაცებს კარგი პატივი სცა და ისინი კიდევ სამაგიეროდ ამორჩევის დროს დაეხმარნენო.

ლ. მ.

რუსეთი

მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც სამეურნეო გამოფენები იქმნება, გამართულ იქმნას აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საუბრები და კითხვებიც. სამინისტროს აზრადა აქვს ამ საქმისათვის ყველა გამოფენაზედ თითო მცოდნე კაცი გაჰგზავნოს ხოლმე.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვთ რკინის გზებზედ განსაკუთრებული ვაგონები შემოიღოს ისეთის საქონლის, სანოვაგის გადასაზიდად, რომელიც მალე ფუჭდება.

— 4 მარტს, როგორც „Бирж. Вѣд."-ი იუწყება, პეტერბურგში ჩამოვიდა ფინლიანდიის დეპუტაცია. დეპუტაციის ჩამოსვლის აზრი, — ხელმწიფე იმპერატორისათვის უქვეშევრდომილესი თხოვნის მირთმევაა ფინლიანდიის საქმეების შესახებ. ასეთივე თხოვნები წინად მირთმეულ იქმნა ფინლიანდიის საგანგებო სეიმისა და სენატის მიერ, მაგრამ არც ერთი უმაღლესად არ იქმნა შეწყნარებული. დეპუტაცია შესდგება 550 კაცისაგან, ამათში 400 გლეხია და 150 ინტელიგენტი: პასტორი, მემამულე, ვაჭარი და მოქალაქე. ამ დეპუტაციაში ფინლიანდიის ყველა თემს თავისი წარმომადგენელი ჰყავს. ზოგიერთმა თემმა თავისს წარმომადგენლად ადგილობრივი პასტორი და მემამულე აარჩია. დეპუტაციის უმრავლესობას მოხუცებული, ხნიერი კაცები შეადგენენ.

— საერო განათლების სამოსწავლო კომიტეტში, გაზ. „Нов."-ს სიტყვით ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულოდ გაჰხადონ გიმნაზიებში სწავლება საბუნების-მეტყველო საგნებისა (ბოტანიკისა, ზოოლოგიისა, მინერალოგიისა ფიზიოლოგიისა და გიგიენისა). ეს საგნები გიმნაზიის პროგრამაში თუმცა შეტანილია, მაგრამ სავალდებულო არ იყო, ამიტომ არავინ სწავლობდა. აზრადა აქვთ აგრეთვე უფრო კარგად მოაწყონ ფრანგულისა და ნემეცურის ენების სწავლების საქმე გიმნაზიებში, ხოლო ინგლისურის ენისა — რეალურ სასწავლებლებში.

— „Кур."-ი იუწყება, რომ ამ ზაფხულს აზრადა აქვთ ზოგიერთ საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი წაიყვანონ საფრანგეთში სხვა-და სხვა ქალაქების დასათვალიერებლად: პარიჟისა, ტულონისა, მარსელისა და სხვათა.

— საერო განათლების სამინისტრომ გადასდო წელს 510,500 მანეთი სხვა-და-სხვა უმაღლესის სასწავლებლების შენობების ასაგებად: სახელდობრ, ტომსკის სატეხნოლოგო ინსტიტუტისა — 60,000 მანეთი, ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტისა — 270,000 მანეთი, ყაზანის უნივერსიტეტის საასტრონომიო ობსერვატორიისა — 16,000 მ., ვარშავის საბეითალო ინსტიტუტისა — 160,000 მანეთი და სხვათა.

უცხოეთი

ინგლისი. დიდი ბრიტანიის 200 ქალაქში მომხდარა მიტინგი რუსეთის სამშვიდობო წინადადების სასარგებლოდ. კრებებზედ ყველგან დასწრებიან და მონაწილეობა მიუღიათ ადგილობრივ ქალაქის გამგებლებს, რაც უფრო მეტს ძალასა და მნიშვნელობას აძლევს მიტინგების დადგენილებას. კრებების გამართვის კარგად მცოდნე კაცების სიტყვით, არავის ეგონა, თუ რუსეთის სამშვიდობო წინადადებას ამდენი გულწრფელი მომხრე გამოუჩნდებოდა მარტო ინგლისში. ჩქარა უნდა შესდგეს, ეგრედ წოდებული, ეროვნული კრება სამშვიდობო მოძრაობის დელეგატებისაგან, რომელთაც სხვა და-სხვა პროვინციები გამოჰგზავნის. ორატორთა შორის საპატიო ადგილები ეჭირებათ გამოჩენილ ორატორ-ქალებს. იმავე საღამოს მიტინგი შესდგება ლონდონში, ლონდონის ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. სიტყვას წარმოსთქვამს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჯონ მორლეი, რომელიც, როგორც ვიცით, დიდი მომხრეა რუსეთის იმპერატორის სამშვიდობო პროექტისა და რომელმაც ამ საგნის შესახებ მომხდარ კრებებზედ სამჯერ წარმოსთქვა დიდმნიშვნელოვანი სიტყვა.

იტალია. იტალიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ სანმუნის ნავთსადგურის შეძენა უფრო კომერციულის მოსაზრებით უნდოდა იტალიას, ვიდრე პოლიტიკურისაო; ამიტომ ამ ადგილის დაჭერა თუ არევ-დარევს პოლიტიკურ დამოკიდებულებას სახელმწიფოთა შორის, იტალია თავს დაანებებს სანმუნსო. სტატისტიკური ცნობები არ ამართლებს მთავრობის განმარტებას, რომ კომერციული მოსაზრებით უნდა დავიჭიროთ სანმუნიო. ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ იტალიის ნაწარმოები ერთობ ბლომად უნდა შედიოდეს ჩინეთში. ნამდვილად-კი ჩინეთიდგან უფრო ბევრი საქონელი შემოუღიათ იტალიაში, ვიდრე აქედგან წაუღიათ იქ. მაგალითად: 1895 წელს ჩინეთიდგან შემოსულა იტალიაში 20,023,000 გირვანქა სტერლინგის საქონელი, 1896 წ. — 14,145,000 გ. სტერ. და 1897 წ. — 18,697,000 გ. სტერ. იტალიიდგან კი გაუგზავნიათ ჩინეთში 1895 წ. 1,260,000 გირ. სტერ., 1896 წ. — 867,000 გ. სტერ. და 1897 წ. — 1,085,000 გირ. სტერ.

იტალიის ოფიციოზური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ამ ანგარიშში არ არის მოთავსებული, თუ რამდენ მილიონის ნაწარმოებს ჰგზავნის იტალია ჩინეთში ლიუბეკიდგან, ლივერპულიდგან და სხვა ქალაქებიდგანო. ამას გარდა, ხსენებულ გაზეთების სიტყვით, შანხაიში ბევრი იტალიელი მეაბრეშუმეა, სადაც ეს საქმე თანდათან ვრცელდება. იგი, უთუოდ, სხვა ადგილებშიაც გაიდგამს ფეხს, თუ კარგი ხელის შემწყობი ექნება, და ამიტომ, ოფიციოზების აზრით, მჭიდრო კომერციული დამოკიდებულებაა საჭირო ამ ორ სახელმწიფოს შორის; ხოლო ეს დამოკიდებულება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ იტალიამ უნდა დაიჭიროს სანმუნის ნავთ-სადგური თავისი მიდამოებით.

ესპანია. უმაღლეს სამხედრო სასამართლოს განკარგულებით, დატუსაღებულნი არიან გენერლები: ხაუდენსი, ტორალი, ლინარესი, სოსტოა, კავიტაში არსენალის უფროსად ნამყოფი, და ადმირალი მონტასხო. სერვერას დატუსაღებას ჯერ-ჯერობით ის უშლის ხელს, რომ იგი სენატორია. ზოგიერთი გაზეთები თხოულობენ, რომ სასტიკად იქმნან დასჯილი გენერლები. ერთი გაზეთი უკიდურესობამდე მიდის და ამტკიცებს, რომ ტორალი უნდა დაიხვრიტოსო. ამასთანავე გაზეთებში ცნობები არის დაბეჭდილი, თუ რამდენად მზად ყოფილა კუბის მთავარი ქალაქი ჰავანა საომრად იმ დროს, როცა ესპანიამ ზავი ითხოვა.

აზრით, თუმცა ასეთი თხზულებათა გავრცელება ჩვენში დიდად სანატრელია და საჭიროც, მაინც ჩვენის საზოგადოების მწარე ფიქრებს ვერ მოუღებს ბოლოს. თქვენ გნებავთ, რომ დღესვე გავხდეთ ადამ სმიტები, სპენსერები და სხვა ასეთი ტიტანები მეცნიერებისა? ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ! მაგას რაღა სჯობია? მაგრამ მსოფლიო მეცნიერებასთან რომ მიისწრაფვით, ან ახლავე რომ ლენორმანებს, ბოკლებს, ვებერებს, რანკეებს, მომზენებს, დრეპერებს, სპენსერებს და სმიტებს ვუდგებით გვერდში, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი წარსული კულტურა, ჩვენი ზეპირ-სიტყვიერებისა და ძველი მწერლობის ნაშთები რაღად დაგვიწყებიათ? თუ-კი მსოფლიო საისტორიო თხზულებათა გამოცემას „შეუძლიან ჩვენთვის სარგებლობის მოტანა", ჩვენმა ისტორიამ და კერძოდ ლიტერატურა-სიტყვიერებამ რა დააშავა?..." (გვ. 161).

და აი, ამ სიტყვიერების ავტორს ბ-ნი კრიტიკოსი ჰსახავს „ყოველივე ახალის მთელელად", რომლის იდეალები „ძველ-წეს-წყობილებით და ძველი ლიტერატურის აღდგენას ვერ ასცილებია". მერე ეს არის ახალის მეცნიერების უარ-ჰყოფა?. ასეთის კილოთი ჰლაპარაკობენ „ცხოვრების ჩარხის უკან დატრიალების" მოტრფიალენი? მაშ რამ დაუბრმავა ისე გონება კრიტიკოსს, რომ ასეთის აშკარა და ცხადის სიტყვების აზრი ვერ გაუგია?. „მარქსისტულ" ფანატიკოსობამ, რიხიანობამ და წვრილმანმა შურიანობამ. აგი ალბად დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მისი „მარქსისტული" აღმატებულებობაა პირველი ლიბერალი, თავისუფალი მოაზრე, პროგრესისტი, სხვა-კი — „კონსერვატორი", „უკან ჩამორჩენილი". აქ მაგონდება ერთი ადგილი დოსტოევსკის თხზულებიდგან, რომელიც ზედ გამოჭრილია ჩვენებურ „მარქსისტულ ლიბერალობის" აღსანიშნავად: „Лицъ, сочувственно относящихся къ прошлой жизни народа и видящихъ въ ней много прекрасныхъ сторонъ, достойныхъ подражанія и восхваленія, обыкновенно съ легкой руки грошевыхъ прогрессистовъ, съ жалкимъ умишкомъ вскакивающихъ на фразу и выѣзжающихъ на ней подпоченясь, принято называть консерваторами... Эти грошевые прогрессисты, — которые всегда будутъ подъ различнымъ, конечно, ярлыкомъ, — могутъ называть консерваторомъ всякаго, кто не такъ думаетъ, какъ они" (მწერლის დღიური), და ჩვენი „გროშევიე პროგრესსისტი"ებიც მიწასთან ასწორებენ ყველას, ვინც იმათებრ არა ჰბოდავს და ყველგან „რყევასა და ნგრევას" არა ჰხედავს და ვისაც სიზმრად და ცხადად არ ელანდება ის მითიური მხეცი, რომელსაც ისინი „კლასიურ ბრძოლას" და „ეკონომიურ ფაქტორს" ეძახიან.

„მაშ რა საბუთი ჰქონდა ბ-ნს მახარაძეს, რომ კელენჯერიძე „კონსერვატორად" და ყოველისავე პროგრესიულის დაუძინებელ მტრად დასახა? მხოლოდ ის, რომ მან გაჰბედა გაეკიცხა „ყავახანური, ლუდხანური და ფაბრიკული" ცივილიზაცია, ე. ი. ის თაიგული ცივილიზაციის ზედაპირისა, რომელიც როსკიპობის, ლოთობის, მხეცურ ინსტიქტებისა და გარყვნილების ყვავილებისაგან არის შეკრულ-შეზავებული. და აი ასეთის თავხედობისათვის კრიტიკოსმა „სასტიკ მსჯელობას", ე. ი. ლანძღვა-გინებას მიჰმართა და ცილსაც სწამებს, ვითომც ის „აღტყინებულ იყოს ძველი ცხოვრების აღდგენის სურვილით და ახალისადმი ზიზღით" (15 გვ.).

კიდევ ნიმუში სხვისის აზრების გადამახინჯებისა. ბ ნი კელენჯერიძე სახალხო პოეზიის შესახებ ამბობს: „მაშ სახალხო პოეზია ყოფილა არა აბუჩად ასაგდები, არა დაცინვისა დაქირდად აგდების ღირსი, არამედ ყოვლად პატივსაცემი და ყოველი ბელეტრისტისა და პედაგოგისთვის დიდად საჭირო და სხვა"... კრიტიკოსი-კი ამტკიცებს, ვითომ კელენჯერიძის აზრით სახალხო პოეზია „უკვდავების წყარო იყოს ხალხისათვის" (გვ. 11) და თითქოს ამისთვის ის მხოლოდ „უებარ წამლად" სთვლიდეს ამ პოეზიას, პირველ და უკანასკნელ საკითხავ წიგნად ხალხურ ნაწარმოების კრებულს ასახელებდეს. ასე-კი არის? თუ აქაც ცილის-წამება გადამახინჯებაა? აი კელენჯერიძეს სიტყვები: „ხალხის განათლების დაწყების ხანაში, თუ ბელეტრისტიკას აქვს მნიშვნელობა, არა ნაკლები, თუ არა მეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო ნაწარმოებს"... და სხვა (19 გვ.). ამავე აზრში ბ-ნი კრიტიკოსი ერთს ადგილას ეთანხმება კელენჯერიძეს: „ჩვენ ჯერჯერობით იმნაირი წიგნები უნდა მივაწოდოთ ხალხს, რომლებსაც მისი გონება ადვილად მოერევა და რომლებიც ამასთანავე კითხვის სურვილსაც უფრო განაძლიერებენ მასში, ამ დანიშნულებისთვის გამოდგებიან ერთის მხრით რჩეული ხალხური ნაწარმოებნი, მაგ. სხვა-და-სხვა ლეგენდები, ზღაპრები და არაკები" („14 გვ.) და სხვა. მაგრამ მეორე გვერდზედ ის უარ-ჰყოფს თავისს ნათქვამს (ალბად ასე სწრაფად „ევოლიუცია" და „რყევა" მოხდა იმისს ტვინში): „ვგონებთ, ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო წიგნები სულ სხვაა და ხალხური პოეზიის მნიშვნელობა სულ სხვა. შესაძლებელია, რომ ხალხურ პოეზიას დიდი მნიშვნელობა ქონდეს (მაშ რისთვის დაჰხარჯეთ, ბ-ნო კრიტიკოსო, ამდენი ტყვია-წამალი?), მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი უსათუოდ სახალხო წიგნების შინაარს უნდა შეადგენდეს" (15 გვ.). ერთს ადგილას „უნდა შეადგენდეს", მეორეს — „არ უნდა შეადგენდეს", როგორ მოგწონთ, მკითხველო, ასეთი ჩქარი ევოლიუცია?! გადაშალეთ ახლა მე-42 გვერდი და წაიკითხეთ: „...მკვდარი ხალხური სიტყვიერების გავრცელებით განმტკიცდება ხალხში ძველი აზრები, ძველი შეხედულება, ძველი რწმენა, ე. ი. ცრუ-მორწმუნოება... ნუ თუ სასურველია, რომ ხალხი ისევ დაუბრუნდეს თავისს ძველ ნაცნობებს, ე. ი. ჰინკებს, ქაჯებს, ამ პირვანდელ გონების ნაყოფს, რომლებიც დღეს, უმეტეს ნაწილად, მის მკვდარ სიტყვიერებაშია დაცული" (42 გვ.).

თუ ეს სასურველი არ არის და მავნებელიცაა, მაშ ვინ დაატანა ძალა კრიტიკოსს და რამ აიძულა, რომ ხალხისთვის გამოდგებიან ერთის მხრით ხალხური ნაწარმოებნი, მეორეს მხრით ბელეტრისტიკაო"? არ ვიცით, მკითხველო, შეიძლება შურიანობისა, თავმოყვარეობისა და ფანატიკოსობის „ლიბერალურ" ჰინკებმა და ქაჯებმა დაატანეს ძალა....

მაგრამ კმარა! როგორც ეტყობა, ბ ნს მახარაძეს ლანძღვა-გინების ნიჭი უფრო ჰქონია, ვიდრე კრიტიკოსობისა. ის ამაოდ ებღაუჭება კრიტიკას და დავიწყებია კრილოვის სიტყვები: „Какъ ни садитесь, въ музыканты все-же негодитесь", ნამდვილ, პირ-უთნელ და საბუთიან კრიტიკის ნაცვლად, ამას მხოლოდ უშვერი და ულაზათო ჰქეჟინ-ხრიწინი გამოუვიდა, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც „скрипка лишь въ рукахъ артиста звучитъ неизъяснимой мелодіей.

ვარ...

გალანტიორებს (თავისუფალ მეომრებს) გარდა, ჭკვანში ყოფილა იმ დროს 42,000 ჯარის კაცი, 284 ზარბაზანი, 81,000 ყუმბარა, 27,000 ფუთი თოფის წამალი და 15 მილიონი პატრონი. გარდა ამისა სანოვაგე ყოფილა ქალაქში: 250 ფუთი გალეტი, 768—ხმელი თევზი, 500 ტომარა პური, 6,227—ბრინჯი, 7000—სიმინდი, 2500 ფუთი ღორი, 9,420 ტომარა და 3000 ბოჭკა ფქვილი, 204 ტომარა ყავა და სხ. ამასთანავე ქალაქში მრავალი ღორი ყოფილა და სხვა საკლავი, ცხენებს გარდა. ქალაქს იცავდა თურმე: 3 ციხე, 17 რედუტი, ნაპირას გამართული 24 ბატარეა, 5 ლიუნეტი, 11,411 მეტრი სანგალი ანუ ჯებირი და 28 ტორპედი.

ჩამოთვლილი ციფრები თუ მართალია, რაღა თქმა უნდა, ჭკვანს დიდხანს შესძლებია ომის გაგრძელება. ზოგიერთები ბლანკოს აბრალებენ, რომ ესპანიამ პირველმა ითხოვა ზავი და ამერიკის მიერ წარმოდგენილი სამარცხვინო პირობები მიიღო. მაგრამ როგორც სხვები ამტკიცებენ, თუ მართლა საგასტას განკარგულებით გარდასცა მან ქალაქი მტერს, იმისდა მიუხედავად, რომ საგასტამ კარგად იცოდა ქალაქის მდგომარეობა, მაშინ უოკველივე ბრალი ქსდება ბლანკოს, რადგან მას შეუსრულებია თავისი უფროსის ბრძანება.

—

ბელგია. ლიბერალებს, სოციალისტებს და ქრისტიან-დემოკრატებს ანტვერპენში დიდი დემონსტრაცია მოუხდენიათ საყოველთაოდ ხმის უფლების მოპოვების სასარგებლოდ პარლამენტის არჩევანებზე. პროცესიაში მონაწილეობა მიუღია 10,000 კაცს და 15 მუსიკალურ საზოგადოებას. აუარებელი ბაირაღები—ცისფერი (ლიბერალებისა), წითელი (სოციალისტებისა) და მწვანე (ქრ.-დემოკრატებისა)—მშვენიერ ფერსა სცდებდა თურმე პროცესიას. პოლიტიკური მოღვაწეები, მომლხნიც დემონსტრაციას ხელმძღვანელობდნენ, ბურგომისტრს გან-რისვაკს მიუღია რატუშაში, და შეჭპირებია, რომ მხარს დაუჭერთ სენატსა და პალატაში. საღამოს სახალხო კრება ყოფილა გამართული, რომელზედაც ბევრს ორატორს უსახელებია თავი.

◆◆

სასამართლოს მატიანე

იასონ ქედლიძისა და პავლე გიორგიძეს საქმე

9 მარტს გორში ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე იასონ ქედლიძისა, რომელსაც თავისის ოსტატის ქუთაისის მცხოვრებლის პავლე გიორგაძის გაძარცვა ჰბრალდებოდა.

გარემოება ამ საქმისა შემდეგია: არღნების ოსტატი პ. გიორგაძე თავისს შეგირდ იასონ ქედლიძითურთ ხაშურში მივიდა თურმე სპირიდონ ოლიაძეს არღნის შესაკეთებლად. ღამე, 19 ივლისს 1898 წ., როდესაც გიორგაძეს ეძინა, იგრძნო, ვიღაცა ხელს აფათურებდა იმის ბალიშის ქვეშ. გამოიღვიძა და შენიშნა, რომ იასონ ქედლიძეს იმისის ჯიბიდგან ტყავის ქისა ამოეღო, რომელშიაც იყო ბაშფორთი და თამასუქი 63 მან., რომელიც მიეღო იასონ ქედლიძეს გიო გოგლაძესაგან და შემდეგ პავლე გიორგაძისათვის გარდაეცა სწავლის ფასში. გიორგაძეს უნდოდა დაეჭირა ქურდი, მაგრამ ქედლიძე მივარდა და დაუწყო ცემა. გიორგაძის ყვირილსა და წივილზედ მოცვივდნენ სპირიდონ და ასლან ჩეგიაძეები და ურჩიეს ბრალდებულს უკანვე დაებრუნებინა ტყავის ქისა საბუთის ქაღალდებითურთ.

ოლქის სასამართლომ, იცნო რა დამნაშავედ ქედლიძე, გარდაუწყვიტა ყოველისავე პირადისა და წოდებრივ უფლებისა-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში გაგზავნა $2^1/_2$ წლით.

◆◆

დამაკვირდი

ქრთილად მჩანს ესე საწუთო,
ქრთილთავე შესადარებლად.

სულხან საბა

* * *

შრომის მოყვარესა ნაშრომი უმდერის აღდონისავით და ატკბობს.

ლასურიძე

* * *

დასაბამი ამპარტავნებისა არს ცუდად მეჯაობრობაჲ.

ხელნაწერი 1586 წლ.

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელი ბავშვები, როგორც ყველა სხვა ქვეყნელი ბავშვები, დიდის ხალისით მისდევენ სხვა-და-სხვა გიმნასტიკას და თამაშობას; მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ იქაური საბავშვო თამაშობები დიდად განსხვავდება სხვა ქვეყნის თამაშობებისაგან. უპირველეს ყოვლისა იქაური ბავშვები სცდილობენ, რომ ყველაფერში დიდებს მიჰბაძონ და თამაშობის დროს ის წარმოადგინონ და გამოხატონ, რასაც დიდების ცხოვრებაში ჰჭედავენ. თამაშობის დროს ბავშვები საზოგადოებებად იყოფებიან და ყველა საზოგადოება სცდილობს დაიცვას „თავისი ინტერესები“. ქალები უეჭველად ცალკე ჯგუფს ადგენენ და დიდის გატაცებით თხოულობენ ვაჟებთან „თანასწორობას“. ძალიან არის ამერიკელ ბავშვთა შორის გავრცელებული თამაშობა „დედა და ქალი“ და „მქადაგებელი“. ამ უკანასკნელ თამაშობის დროს, ერთ-ერთი ბავშვი მაღალს ადგილზედ ადის და იქიდგან „ხალხს სიტყვას“ეუბნება, თან გაცხარებული ხელებს იქნევს. დანარჩენი ბავშვები მოწიწებით უსმენენ ორატორს. მაგრამ ამერიკელ ბავშვებს ყველაზედ ძალიან მოსწონთ „ვაჭრობა“. ეს „ვაჭრობა“ საყვარელი თამაშობაა, როგორც მდიდრის, აგრეთვე ღარიბის ამერიკელის შვილისა. ბავშვები აშენებენ პატარა ქოხს და რადგანაც სხვა საქონელი არ მოეპოვებათ, აწყობენ ამ ქოხში „გასასყიდათ“ ყვავილს, ხმელ ფოთოლს, ჯოხებს, ბალახს და სხვას. ერთი ბავშვი მაღაზიის პატრონია, მეორე ნოქარი, მესამე ბიჭი, მეოთხე ბუჰალტერი და სხვა; დანარჩენნი მუშტრები არიან, ეს თამაშობა ხანდისხან რამდენსამე საათს გასტანს ხოლმე, მაგრამ ბავშვებს მაინც არა სწყინდებათ. ზევითა ვსთქვით, რომ ბავშვები პატარ-პატარა საზოგადოებას აარსებენ ხოლმე. ასეთ საზოგადოებას უეჭველად ჰყავს თავმჯდომარე, მდივანი, კასსირი; კრების დროს „ოპოზიცია“ გაცხარებული ეკამათება „გამგეობის“ მომხრე დასს. ყველა ამ თამაშობის გარდა, ესპანია-ამერიკის ომის დროს ამერიკაში ძალიან იყო გავრცელებული თამაშობა „ომი“. ისეთი ქალაქი არ იყო, სადაც ბავშვთა რაზმები, ბატალიონები და კორპუსები არა ყოფილიყოს. იმ დროს, როდესაც კუბასა და ფილიპინებზედ ამერიკა-ესპანიის ომი იყო, თვით ამერიკაშიაც გაცხარებული ბრძოლა ჰქონდათ ბავშვთა ქვეითა და ჯოხებზედ შესკუპებულ „ჯარს“.

* * *

ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში დაარსებულ იქმნა ამას წინად „ას წლოვანთა“ კლუბი. კლუბის დამაარსებელი ორი მოსამართლეა—დევისი და პრიორი. ორთავენი 70 წლისაზედ უხნესნი არიან. წლიური საწევრო გარდასახადი 5 დოლლარია. კლუბის საგანი ის არის, რომ თავისს წევრებს ხელი შეუწყოს ასს წლამდის იცხოვრონ. კლუბთან დაარსებული იქმნება წიგნთ-საცავი, სადაც შეინახება ისეთი წიგნები, რომლებშიაც მოხუცებულებზედ ან მოხუცებულობაზედ სწერია რამ. კლუბთან უკვე დაარსებულ იქმნა კანტორა, სადაც წევრებს შეუძლიანთ მიიღონ ჰიგიენური რჩევა-დარიგებანი მცოდნე და გამოცდილ კაცებისაგან. მეორე კანტორას მინდობილი აქვს შეკრიბოს ცნობები მოხუცებულ კაცთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და მოსკოვის უნივერსიტეტის ერთის ღარიბის სტუდენტის სასარგებლოდ შემოსწირეს ფული. სია შემომწირველთა: ა. ლ. ყიფიანისამ 3 მან., ი. ს. ახვლედიანმა 3 მ., ი. ა. ქავთარაძემ 2 მ.; ი. კ. მულინმა 2 მ., ა. ლ. ქავთარაძემ 2 მ., ს. ს. კახიძემ 1 მ., თ. ლ. ჩიჩუამ 1 მ., ლ. მ. კლდიაშვილმა 1 მ., თ. პ. წულუკიძემ 1 მ., გ. ლ. ბოკერიამ 1 მ., ი. გომელაურმა 1 მ., მ. ს. შარაშიძემ 1 მ., თ. გ. წულუკიძემ 50 კაპ., ი. ლომაიამ 20 კ.

პარასკევა ს. ქავთარაძისა

◆◆

დეპეშა

10 მარტი.

პეტერბურგი. 10 მარტს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელში.

კიევი. კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ლექციების კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა უნივერსიტეტში შეჩერებულია საერო განათლების მინისტრის განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

პარიჟი. გენერალმა ჟანიმ, რომელიც მედიატორეთ იყო არჩეული ლეპრევოსა და დესტიეს შორის მომხდარ უსიამოვნების გასარჩევად, სცნო, რომ დუელისათვის საბუთი არა აქვთ-რა.

რომი. აქ მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე.

11 მარტი.

პეკინი. ინგლისის, გერმანიის და ამერიკის ელჩებმა მიჰმართეს ძუნგლი-იამენს ნოტით, რომელშიაც თხოულობენ შანხაიში არსებულ უცხო-სახელმწიფოთა უბნის გაფართოებას. საფრანგეთის დესპანმა უკანვე დაიბრუნა შანხაიში მყოფ საფრანგეთის ელჩის მოთხოვნილი იმ პირობით-კი, თუ გაფართოება, რომელზედაც აქ ლაპარაკია, საფრანგეთის კონცესიას არ შეავიწროებს.

რომი. ადმირალი გრენტი შაბათს „Stramboli“-ს გემით ჩინეთში მიდის.

ხარკოვი. დღეს, სამის დღის გაჩხრეკის შემდეგ, ელისავეტგრადის მევახშეების საქმისა, ნაფიც მსაჯულთ დამნაშავედ სცნეს ბრალდებულნი. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: მეიტუსს—ერთის წლით და 2 თვით ციხეში დაპატიმრება, გოლდფელდსა და დაშევსკებს—ირკუტსკის გუბერნიაში გაგზავნა, ლეშჩინსკის—8 თვით ციხეში დაპატიმრება. ფონ-ფინკს—ირკუტსკის გუბერნიაში გაგზავნა და პერელმუტერს—4 თვით ციხეში დაპატიმრება.

პეტერბურგის ბირჟა, 9 მარტი

	მყიდველისა. მან. კ.	გამყიდველისა მან. კ.	გარიგებისა მან. კ.
5⁰ [illegible] მომგებიანი გ[illegible]ბის ფურც[illegible] [illegible]სახელმწიფო [illegible]დ - აზნაურო ბანკისა	— „	— „	$222^1/_2$
$3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	$95^3/_4$
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	100	— „	— „
$4^1/_2$%იმავე ბანკისა	— „	101	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	$99^3/_4$	— „	— „
$4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა. . .	$98^1/_2$	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	$286^3/_4$
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	— „	— „	$255^1/_4$

◆◆

შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მუზეუმს შემოსწირეს:

1) ვასილ და აბელ კალატოზიშვილებმა—ბრძანება კავკასიის ოტდელნის კორპუსი სადმი პასკევიჩისა, 6 ოქტ. 1827 წ. და სიგელი 1796 წლისა.

2) ელისაბედ ჩერქეზიშვილისამ—სამი ვერცხლის ძველი ფული და ერთი სპილენძისა.

3) დარჩია გიორგის ძემ თეიმურაზოვმა—ხელთ-ნაწერები: 1) რიტორიკა მხითარისა, 2) ახსნა სიმვოლიონისა, 3) თეატრო პოლიტიკა, 4) ყოვლად საზოგადო ისტორია, ნაწილი პირველი და 5) ვეფხის ტყაოსანი.

4) თ. ლევან გიორგის ძემ ჯანდიერმა—ერთი ხმალი, რომელსაც ზედ წარწერილი აქვს „ასლამაზა მამასახლისისა არი (ტჲგ).“

5) გრიგოლ გაბრიელის ძემ ბასილაშვილმა—ერთი ცალი ძველი ვერცხლის ფული და ცამეტი სპილენძისა.

6) სპირიდონ პავლეს ძემ დავაძემ—ერთი ცალი ხელთ-ნაწერი კურთხევანი და ერთი ცალი სპილენძის ფული.

7) იოსებ ნიკოლოზის ძემ მერკვილაძემ—იაპონიური ხმალი ძველის ქარქაშით, რომელიც შემკულია ამოჭრილის ნახატებით აღმოსავლეთის ცხოვრებიდგან.

8) კოსტანტინე ყიფიანმა—ბროსეს საქართველოში მოგზაურობის ალბომი.

9 თევდორე დავითის ძემ ჟორდანიამ—სოლომონ მეფის წერილი ზემო-იმერეთის მცხოვრებლების მიმართ, დაწერილი 1810 წ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆◆

განცხადებანი

ვეკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—16).

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ციმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მკამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—6)

წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრეწველო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა დ ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული

საუმაწვილო მოთხრობანი

ეკატერინე გაბაშვილისა.

ფასი 30 კაპ.

ახლად დაიბეჭდა დ იყიდება ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი

გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.

ფასი ერთი შაური.

თესლეულობათა დეპო

გ. გ. ლარშესი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.

მიღებულია ახალი თესლეულობა

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—10)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Марта 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.